

ქედის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების გენდერული თანასწორობის
სტრატეგია

- სტრატეგიის ხედვა, მიზანი და პრიორიტეტული მიმართულებები
- სტრატეგიის ხედვა
საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებით მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა
- სტრატეგიის მიზანი

მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის ჩართულობით ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა, გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გაუმჯობესება და გაძლიერება;
- საბიუჯეტო და ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
- კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
- სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
- გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა; ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა;

ქედის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია

1. შესავალი

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა არის საჯარო ხელისუფლების, როგორც სახელმწიფოს, ასევე მუნიციპალიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული მიმართულება, რომლის მიზანია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლება-მოვალეობების, პასუხისმგებლობებისა და თანასწორუფლებიანი მონაწილეობის დამკვიდრება. ამასთან, გენდერული თანასწორობა არის არა მხოლოდ უფლება და ამ უფლების საკანონმდებლო აღიარება, არამედ რეალური შესაძლებლობა. ქალსა და მამაკაცს უნდა გააჩნდეთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, ისინი თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად სარგებლობდნენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ქედის მუნიციპალიტეტში 2018 წ. შექმნა მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო და დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019-2020 უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.

მიუხედავად გენდერული თანასწორობის მისაღწევად გადადგმული ნაბიჯებისა, ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის წინაშე ჯერ კიდევ მწვავედ დგას პოლიტიკაში, ეკონომიკასა თუ სოციალურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის რეალურად უზრუნველყოფის საკითხი. მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა კოვიდ-19 პანდემიამ. პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ქალებზე, მათ შორის ქალ მეწარმეებსა და ქალ დასაქმებულებზე, რადგან მათი დიდი წილი ჩართული იყო ისეთ სფეროებში (ტურიზმი, ვაჭრობა), რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდა პანდემიის დროს. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით ჯამში 175 000 ქალმა, რომელიც იყო დაქირავებით დასაქმებული დაკარგა სამსახური ან მოუწია უხელფასო შვებულების აღება. გარდა ამისა, პანდემიამ და მისგან გამოწვეულმა შეზღუდვებმა გამოიწვია ბაღებისა და სკოლების დახურვა და დააყენა ბავშვების სახლში მოვლის საჭიროება, რაც არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე არათანაბრად ნაწილდება ქალსა და კაცს შორის. ეს მდგომარეობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას და მოითხოვს ამ საკითხის სისტემურ, კომპლექსურ, თანმიმდევრულ, კოორდინირებულ დაგეგმვას და ასახვას, მათ შორის პანდემიის გავლენის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეტანას მუნიციპალური პოლიტიკის დოკუმენტში - მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიაში.

ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგია (შემდგომ - სტრატეგია) განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და განვითარების პრიორიტეტებს 2022-2025 წ.წ. პერიოდისათვის.

სტრატეგიის მიზანია, მუნიციპალიტეტის კომპეტენციიდან გამომდინარე, სახელმწიფო სტრუქტურებთან მჭიდრო კოორდინაციით და ამ პროცესში სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართულობით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტიან განხორციელებას.

სტრატეგია ეფუძნება გენდერული თანასწორობის პრინციპებს მუნიციპალურ და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის და გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

სტრატეგია იგება ერთიან, კომპლექსურ მიდგომაზე, რომლის თანახმად, ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი ინტერესების შესწავლას, თანაბრად წარმოჩენასა და გათვალისწინებას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ქედის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას აფუძნებს და უზრუნველყოფს კომპეტენციის ფარგლებში ყველა სახის პოლიტიკასა და საქმიანობაში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას, გენდერული თანასწორობის დაცვას და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობისათვის საჭირო გარემოს შექმნას.

სტრატეგია უზრუნველყოფს მუნიციპალური ორგანოების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამოქალაქო სექტორის ძალისხმევის კოორდინაციას, რომელიც მიმართულია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის, ამ უფლებათა რეალიზების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის, საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული გენდერული თანასწორობის პრინციპების განსახორციელებლად.

სტრატეგიის სამართლებრივ ბაზას ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს კანონმდებლობა.

სტრატეგია მომზადებულია „პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წ. 20 დეკემბერის N629 დადგენილების გათვალისწინებით.

სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების ინსტიტუციურ საფუძველს ქმნის „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წ. 23 თებერვლის N6 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.

სტრატეგია წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის სფეროში სამოქმედო გეგმის და მისგან გამომდინარე პროგრამული ღონისძიებების შემუშავების საფუძველს.

1.1. მეთოდოლოგია

გენდერული თანასწორობა ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების და მუნიციპალიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს. ამიტომ მუნიციპალიტეტის გენდერული

თანასწორობის სტრატეგიის შემუშავება ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას, რომელშიც ჩართულია მუნიციპალიტეტის ყველა სამსახური, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორი. ამავდროულად, სტრატეგიის მომზადებისას გათვალისწინებულია სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები და სახელმწიფო პროგრამები.

ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წ. 03 სექტემბრის N 700 ბრძანებით შეიქმნა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის პროექტზე მომუშავე ჯგუფი, რომელმაც სამოქალაქო სექტორის და ექსპერტების ჩართულობით, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზისა და მოსახლეობის საჭიროებათა კვლევებზე დაყრდნობით, სტრატეგიის შემუშავების პროცესის პირველ ეტაპზე, სიტუაციური ანალიზის მომზადების მიზნით, ჩატარდა კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

სიტუაციური ანალიზის გამოყენებით ჩამოყალიბდა ხედვა, მიზანი და გამოიყო მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები. მოხდა მათი შეთანხმება მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან. საბჭოს მიერ გამოთქმული წინადადებებისა და კომენტარების ასახვის შემდეგ, დოკუმენტის საბოლოო ვერსია წარედგინა მუნიციპალიტეტის მერს და დასამტკიცებლად გადაიგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

2. სიტუაციის ანალიზი

ა) მუნიციპალური გენდერული სტატისტიკის დინამიკა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წლის სექტემბრის მონაცემებით ქედის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 16,824 – ს. 2012 წლიდან, მოსახლეობის უმნიშვნელო, თუმცა სტაბილური მატება აღინიშნება.

მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები

2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, ქედის მუნიციპალიტეტის საერთო მოსახლეობის 49.8% ქალია, ხოლო 50.2% – კაცი. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში კაცთა პროცენტული წილი მერყეობს 44%-დან 57%-მდე, ხოლო ქალთა პროცენტული წილი კი – 43%-დან 56%-მდე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014).

მიმდინარე წელს ქედის მუნიციპალიტეტში იანვრიდან სექტემბრის თვის ჩათვლით დაიბადა სულ 298 ბავშვი მათ შორის ბიჭი -162 და გოგო 136

1) დემოგრაფიული მდგომარეობა:

- მოსახლეობის რიცხოვნობა ეთნიკური შემადგენლობით, ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში ჩაშლილი;
 - 2014 წ. აღწერის მონაცემებით, ქედის მუნიციპალიტეტის რიცხოვნობაა 16 824. მოსახლეობის 49,8% ქალია, ხოლო 50,2% - კაცი. ეთნიკური

პროგრამების დასახელება	ბიუჯეტი	დახარჯული თანხები	პროგრამით მოსარგებლეთა სქესი
------------------------	---------	-------------------	------------------------------

შემადგენლობა ერთგვაროვანია. მოსახლეობის 99,9% არის ქართველი. მოსახლეობის 62,1% მუსულმანია, ხოლო 31.3% ქრისტიანი.

- მიმდინარე წელს ქედის მუნიციპალიტეტში იანვრიდან სექტემბრის თვის ჩათვლით დაიბადა სულ 298 ბავშვი მათ შორის ბიჭი -162 და გოგო 136
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა 2019 წელს იყო - 168 ხოლო 2020 წელში - 231.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა ქედის მუნიციპალიტეტში 2019 წელს იყო -120 ხოლო 2020 წელს 72 - მომაცემები თვითმმართველი ერთეულების მიხედვით გენდერულ ჭრილში არ იფილტრება: ამავე წყაროზე დაყრდნობით, რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა - 28 ხოლო 2020 წელში იყო 13 ფაქტი.
- ქედის მუნიციპალიტეტის სოც. სააგენტოს მომაცემებით ნაადრევი ქორწინების მხოლოდ ერთი ფაქტის არის ცნობილი, რომელზეც ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა;

2) ჯანმრთელობის დაცვა:

ქედის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ადგილობრივი პროგრამები

ჯანდაცვა

- მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამების ბენეფიციართა გენდერული თანაფარდობა;
- ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარებზე გაცემული თანხების გენდერული თანაფარდობა

ცხრილი #1

		ქალი	კაცი	ქალი	კაცი	სულ
ამბულატორიული მომსახურეობა	191 600	თანაბარი		9270	9082	18352
სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა	154 000	თანაბარი		8132	8082	16214
თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	85 200	კონფიდენციალური ინფორმაცია				
სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა	5 000	ეპიდვითარების გამო არ განხორციელდა				
ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	61 000	26988,93	34011,07	66	110	176
მოწყველადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	340 000	181600	156600	908	783	1691
ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	4 000	1677,30	2300,70	5	9	14
სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა	25 200	24596,28		11	12	23
ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	34 000	31452		35	180	215
ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის	12 700	12120		7	3	10
ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება	78 000	78000				65 ოჯახი
გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	50 000	50000				125 ოჯახი
ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	13 800	2904	9552	2	7	9
სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	15 000	5934	5938	25	23	48
საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა	100 000					57 ოჯახი
ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლა	125 000					4 ოჯახი
0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისთვის ფინანსური დახმარება	38 500	24000	12600	40	21	61

საქმიანობათა ცენტრი ქედაში, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	20 000					
მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამების ბენეფიციართა გენდერული თანაფარდობა;				18501	18312	36813

3) სოციალური უზრუნველყოფა:

- სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდის მონაცემებით, 2021 წლის პირველი ინაგრიდან სექტემბრის თვის ჩათვლით ქედის მუნიციპალიტეტში პენსიის მიმღებთა რაოდენობაა 3046 (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2021), რაც მოსახლეობის დაახლოებით 18%-ს შეადგენს. 3046 პენსიის მიმღებთაგან 1053 კაცია, ხოლო 1993 – ქალი. სახელმწიფო პენსიის გარდა, მაღალმთიან რეგიონში სახელმწიფო პენსიის დანამატი აიღო 2983 ადამიანმა ამათგან 1037 -კაცი და 1946 ქალი. დევნილის სტატუსის მქონე პენსიის მიმღები ქედის მუნიციპალიტეტში არ აღირიცხება (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2021).
- საარსებო შემწეობის მიმღები პირების რიცხოვნობა გენდერულ ჭრილში
სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, 2021 წლის სექტემბრის თვის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა 6750 საარსებო შემწეობის მიმღებთაგან არის კაცი-3218 ქალი - 3532.
- შ.შ.მ. პირთა რიცხოვნობა გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში
ქედის მუნიციპალიტეტის სოციალური პაკეტებით სარგებლობს სულ 1218 ბენეფიციარი. მათ შორისაა სხვადასხვა ხარისხის შეზღუდვის მქონე 1047 პირი (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2021), სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ცხრილი #2

0-18 წლამდე შშმ პირი	64
მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	245
მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	638
ზომიერად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირი	100
სულ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	1047
სხვა: მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი; პოლიტ. რეპრესირებული; სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები; საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები	171

ასაკი	0-17	18-39	40-49	50-59	49-მეტი	საერთო რაოდენობა
კაცი	78	149	126	207	140	700
ქალი	80	92	115	209	22	518
სულ						1218

სულ	158	241	241	416	162	1218
-----	-----	-----	-----	-----	-----	------

4) განათლება, კულტურა, სპორტი:

- საბავშვო ბაღების რაოდენობა აღსაზრდელთა არსებული რაოდენობის მითითებით გენდერულ ჭრილში;
ქედის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 სკოლმდელი სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც სულ ირიცხება 560 აღსაზრდელი მათ შორის გოგო - 288, ხოლო ბიჭი-272 ;
- საჯარო სკოლების რაოდენობა მათში არსებული მოსწავლეთა რაოდენობის მითითებით გენდერულ ჭრილში;
ქედის მუნიციპალიტეტში 29 სკოლაა, სულ ირიცხება 2062 მოსწავლე (სქესის მიხედვით არ იფილტრება).
- სახელოვნებო სასწავლებლების რაოდენობა მოსწავლეთა რაოდენობის მითითებით გენდერულ ჭრილში;
ა (ა)ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა
- პროფესიული სასწავლებლების რაოდენობა მათი სპეციალიზაციის და გენდერულ ჭრილში მოსწავლეთა რაოდენობის მითითებით;
მიმდინარე წელს ქედის მუნიციპალიტეტში გაიხსნა პროფესიული სასწავლებლ (ბლესი), რაოდენობა 1-ია, მენეჯერი -1 კაცი, სადაც სულდასაქმებულია 8

მოსწავლეთა რაოდენობა	საფორტეპიანო განყოფილება		საორკესტრო განყოფილება		ხალხური განყოფილება	
	61 მოსწავლე		25 მოსწავლე		90 მოსწავლე	
სულ	ბიჭი	გოგო	(კლარნეტი)	ფლეიტა	ბიჭი	გოგო
176			ბიჭი	გოგო		
	10	51	10	15	40	50

პედგოგი, აქედან 3 ქალ, ხოლო 5 კაცი. სასწავლებელში ამჟამად ირიცხება 11 მსმენელი (11-კაცი). .

- სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე, სკოლისა და პროფესიულ სასწავლებელთა დირექტორების გენდერული თანაფარდობა;
სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება სულ 15 მათ შორის 15 ქალი-მენეჯერი, პროფესიული სასწავლებელი 1, კაცი -1 მენეჯერი, 29 სკოლიდან -

დირექტორის პოზიციაზე წარმოდგენილია, ქალი-14, ხოლო კაცი-15. რაც შეეხება პედაგოგებს, სულ 580-ია. აქედან, ქალი-440, ხოლო კაცი-140.

- **სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე, სკოლისა და პროფესიულ სასწავლებელთა აღმზრდელების/პედაგოგების გენდერული თანაფარდობა (სასურველია სასწავლო დისციპლინების მიხედვით)**
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში: აღმზრდელი ქალი-67, აღმზრდელის თანაშემწე ქალი - 38;
- **მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ ღონისძიებებში (სპორტული, კულტურული, საგანმანათლებლო-შემეცნებითი, ახალგაზრდული და სხვა სახის) მონაწილეთა გენდერული თანაფარდობა;**
2020-2021 წლების მონაცემებით მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ ღონისძიებებში (სპორტული, კულტურული, საგანმანათლებლო-შემეცნებითი, ახალგაზრდული და სხვა სახის) 7000 ქალი, 8000 კაცი ;
- **კულტურის (კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი და სხვ.) მუნიციპალური დაწესებულების მომხმარებელთა გენდერული სტატისტიკა;**
(ქალი-600, კაცი-500)
- **სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის სფეროში განხორციელებული მუნიციპალური პროგრამების გენდერული სტატისტიკა:**
გამართა 76 სპორტული ღონისძიება, ახალგაზრდული 14 ღონისძიება , სულ მონაწილე 1091 მათ შორის ბიჭი-624 გოგო - 467;
- **მუნიციპალური სპორტული პროგრამების მიერ მხარდაჭერილი სპორტული კლუბებისა და გუნდების წევრთა საერთო თანაფარდობაში ქალი/კაცი სპორტსმენების თანაფარდობა;**
150 - კაცი, 40- ქალი,
- **სხვადასხვა სპორტული ღონისძიების მონაწილეთა გენდერული თანაფარდობა;**
გოგო-467; ბიჭი-624;
- **სპორტულ ცენტრში მოვარჯიშე სპორტსმენთა გენდერული თანაფარდობა;**

N	სპორტის სახეობა	2021 წელი	გოგო	ბიჭი
1	ფრენბურთი	12		12
2	ქართული ჭიდაობა	14		14
3	თავისუფალი ჭიდაობა	12		12
4	თავისუფალი ჭიდაობა	16		16
5	კალათბურთი	14	14	

6		კალათბურთი	15		15
7		მაგიდის ჩოგბურთი	12	5	7
8		მაგიდის ჩოგბურთი	14	6	8
9		კიკბოქსინგი	19	7	12
10		ჭადრაკი	16	10	6
11		ჭადრაკი	12	7	5
1	ბეთლები	ფეხბურთი	18		18
2		ფეხბურთი	32	16	16
		სულ	206	65	141

- ღია სტადიონებისა და სხვა სპორტული ინფრასტრუქტურის გამოყენების სიხშირე სხვადასხვა ჯგუფების (ქალები/კაცები/გოგონები/ვაჟების) მიერ; ღია სტადიონებსა და სხვა სპორტულ ინფრასტრუქტურას ძირითადად სარგებლობენ გოგონები/ვაჟები, უფორ ნაკლები სიხშირით ქალები/კაცები.

6) შრომითი რესურსები, დასაქმება და უმუშევრობა:

- ქედის მუნიციპალიტეტის დასაქმების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია - დასაქმება 2020-2021 წლების მიხედვით

რეგისტრირებულია სულ 46 მოქალაქე, მათ შორის ქალი- 18, კაცი-28

დასაქმება

სულ დასაქმდა 100 მოქალაქე, მათ შორის ქალი 34, კაცი 66.

1) ერთჯერადი - სულ 9 (1 თვე)

მათ შორის ქალი-9 , კაცი 0

დროებით- სულ 11, (1-დან 3-თვემდე)

მათ შორის ქალი- 7, კაცი 4

2) გრძელვადიანი ანუ მუდმივი სულ 80 მოქალაქე მათ შორის ქალი- 27, კაცი- 53

8) სამართალდარღვევები:

ქედის პოლიციის რაიონული სამმართველოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2020 წელს ოჯახური ძალადობის შესახებ შესულია 8 შეტყობინება ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტზე. 2021 წელს დღეის მდგომარეობით ფიქსირდება 9 შეტყობინება, მხოლოდ ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტზე. რაც შეეხება

მსჯავრდებულთა რაოდენობას გენდერულ ჭრილში 2020 წელს 1 ქალი მიეცა პასუხისგებაში და 7 კაცი, ხოლო 2021 წელს კი 1 ქალი და 8 კაცი.

9) ხელისუფლება:

- ქალთა წარმომადგენლობა მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქედის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოდგენილია 3 ქალი დეპუტატით, პროცენტული წილი 0,63%. ფრაქციების და კომისიის თავმჯდომარის პოზიციები არ უჭირავთ ქალებს.

სტატისტიკური ინფორმაცია:

საკრებულო		
პოზიცია	ქალი	კაცი
1. საკრებულოს წევრი	3	18
2. საკრებულოს წევრების რაოდენობა ოპოზიური პარტიებიდან	1	5
3. პოლიტიკური თანამდებობის პირები	2	16
3.1 საკრებულოს თავმჯდომარე	0	1
3.2 საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	0	3
3.3 კომისიის თავმჯდომარე	0	5
3.4 ფრაქციის თავმჯდომარე	0	2
4. მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული პირი	1	
4.1 აპარტუს უფროსი	0	1
4.2 სამსახურის ხელმძღვანელ	0	1
4.3 განყოფილების უფროსი	1	2
5. საჯარო მოხელე	4	3
6. პროფესიული მოხელე	4	3
7. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	3	2

- მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა შორის ქალებისა და მამაკაცების პროცენტული თანაფარდობა; ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შტატით დასაქმებულია სულ 87 თანამშრომელი, შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება ქალი 31% , კაცი 69 % . ხელშეკრულებით აყვანილია სულ 22 თანამშრომელი, მათ შორის ქალი-6, კაცი -16 ხელშეკრულებით დასაქმებულ თანამშრომელთა პროცენტული მაჩვენებელი - ქალი-27%, კაცი -76 % . სულ მერიაში დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი ქალი -26%, კაცი-74%.
- თანამშრომელთა გენდერულად დაყოფილი მონაცემები თანამდებობრივი პოზიციების მიხედვით;

თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში-11.05.2022

თანამდებობა	რაოდენობა			პროცენტული მაჩვენებელი	
	შტატით გათვალისწინებული	დასაქმებული		კაცი	ქალი
		კაცი	ქალი		
მერი	1	1		100%	0%
მერის პირველი მოადგილე	1	1		100%	0%
მერის მოადგილე	1	1		100%	0%
სამსახურის უფროსი (I რანგი)	9	8	1	89%	11%
განყოფილების უფროსი (II რანგი)	14	8	4	67%	33%
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი -I კატეგორია)	11	4	6	40%	60%
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი -II კატეგორია)	27	6	10	38%	62%
მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში	10	9		100%	0%
სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში	22	17	3	85%	15%
სულ:	96	55	24	70%	30%
	ვაკანსია-16				

ხელშეკრულებით დასაქმებული

პოზიცია	რაოდენობა			პროცენტული მაჩვენებელი	
	პოზიციის რაოდენობა	დასაქმებული		კაცი	ქალი
		კაცი	ქალი		
ტექნიკური მუშაკი სამეურნეო დარგში	1	1		100%	0%
დამლაგებელი	2		2	0%	100%
ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის	1		1	0%	100%

ინპექტორი					
ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სოციალური მუშაკი	1	1		100%	0%
მერიის მძღოლი	2	2		100%	0%
სოფლის სპეციალისტი ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	27	24	1	96%	4%
მდივან-რეფერენტი	1		1	0%	100%
სპეციალისტი მიწის უფლების აღიარების (დარეგისტრირების) საკითხებში	1	1		100%	0%
სპეციალისტი სარეკლამო და მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში	1	1		100%	0%
სპეციალისტი კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მომსახურების საკითხებში	1	1		100%	0%
სულ :	39	31	5	86%	14%
	ვაკანსია -2				
სულ მერიაში დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი				75%	25%

- სახელფასო ფონდის განაწილება გენდერული ნიშნით (ინდიკატორები: ქალ თანამშრომლებზე ხელფასების სახით გაცემული საერთო თანხის ოდენობა, ხელფასებზე გაცემული საერთო თანხის რამდენი % გაიცა თანამშრომელ ქალებზე, მუნიციპალიტეტის თანამშრომელ ქალების საშუალო ხელფასი/მამაკაცი თანამშრომლების საშუალო ხელფასი, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა სახელფასო გენდერული სხვაობა);
საერთო- 1467 344, ქალები-341 145, ქალები 1126199, სხვაობა 785054, ქალები საშუალო - 888 ლ.

- სამივლინებო თანხების განაწილება გენდერული ნიშნით (ინდიკატორები: თანამშრომელი ქალების/კაცების მივლინებების რაოდენობა, თანამშრომელ ქალებზე/კაცებზე გაცემული სამივლინებო თანხები, გაცემული სამივლინებო თანხების პროცენტული განაწილება ქალებსა და კაცებზე, ქალებზე/კაცებზე გაცემული სამივლინებო ხარჯის საშუალო ოდენობა);
2020 წელ ქალი - 14 (2899,8 ლ) კაცი-24 (7153) სულ: 38 გახარჯული თანხა: 10052,8 ქალი 29% და კაცი 71%
2021 წელი ქალი-2 (99 ლ) კაცი-11 (20470 სულ: 13 გახარჯული თანხა; 2146 ლ. ქალი -5% კაცი-95%
- საწვავის შესაძენად გაცემული თანხების განაწილება გენდერული ნიშნით;
2020 - წელი - 66334,17 თანხა 2021-წელი 73026,13
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე დახარჯული თანხები გენდერულ ჭრილში;
2020 წელს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე სულ დაიხარჯა 1186- ლარი, მათ შორის თანხა განაწილდა თანაბრად ქალი- 593 ლარი, კაცი- 593 ლარი
2021 წელი- 2856 ქალი- 862 ლარი, კაცი 1994-ლარი
- მუნიციპალური საწარმოებისა და მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების სტრუქტურის გენდერული პროფილი

მუნიციპალური ორგანიზაციების გენდერული პროფილი ქედში სულ რის 11 მუნიციპალური ორგანიზაცია მათ შორის 6 შპს და 5 ა(ა)იპ, ამათგან დირექტორის პოზიცია უჭირავს მხოლოდორქალს, ხოლოცხრ ორგანიზაციის დირექტორი არის კაცი

ორგანიზაციების მიხედვით თანამშრომელთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში შემდეგნაირად გამოიყურება:

1. [ა\(ა\)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება](#) დირექტორი ქალი -1
ბაგა-ბაღების გაერთიანება დასაქმებულთა რაოდენობა ქალი-221, კაცი-32
2. [ა\(ა\)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი](#) დირექტორი კაცი-1
ქედის ისტორიული მუზეუმი ქალი-9 მამაკაცი-2
3. [შპს ქედის წყალკანალი](#) დირექტორი კაცი-1
სულ დასაქმებული, ქალი-5; კაცი-40
4. [შპს ქედის კომუნალურსერვისი](#) დირექტორი კაცი-1
სულ დასაქმებული,
ქალი-40

კაცი-18

5. შპს ქედის ავტოსატრანსპორტო დირექტორი კაცი-1
სულ დასაქმებული,
ქალი-0
კაცი-4
6. [ა\(ა\)იპ ქედის სასპორტო სკოლა](#) დირექტორი კაცი-1
სულ დასაქმებული,
ქალი-8
კაცი-25
7. [ა\(ა\)იპ ქედის კულტურის ცენტრი](#) დირექტორი კაცი-1
სულ დასაქმებული,

ქალი-74
კაცი-67
8. [შპს საფეხბურთო კლუბი "ბეთლემი"](#) დირექტორი კაცი-1
სულ დასაქმებული
ქალი-0
მამაკაცი-8
9. [ა\(ა\)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა](#) დირექტორი ქალი -1
ქალი-15
მამაკაცი-6
10. [შპს რაგბის კლუბი "ფირალები"](#) დირექტორი კაცი-1
სულ დასაქმებული

ქალი-1
მამაკაცი- 4
11. [შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი](#) დირექტორი კაცი-1
სულ დასაქმებული
ქალი-12
მამაკაცი-14

10) სამოქალაქო სექტორი და სამოქალაქო აქტივობა:

- მუნიციპალიტეტის მიერ შეხვედრებში, საჯარო მოსმენებში, სოფლის კრებებში და სხვა სახის აქტივობებში მონაწილეთა გენდერული თანაფარდობა;
გენდერზე პასუხისმგებელი პირის პოზიციის არსებობამდე, მუნიციპალიტეტში არ ექცეოდა ყურადღება ქალთა ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შესაბამისად არ მუშავდებოდა ინფორმაცია ამ კუთხით, 2015 წლის

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მიმდინარეობდა ქალთა ჩართულობით, რასაც წინ უძღოდა არაერთი საინფორმაციო შეხვედრა სოფლის კრებებზე ქალების დასწრების აუცილებლობის შესახებ, ოქმებში გაჩნდა ჩანაწერი ქალი და კაცი, მიღებულ გადაწყვეტილებებს კი კრების ოქმში ხელმოწერით ადასტურებდნენ.

2015 წლის მარტში ჩატარებულ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებულ სოფლის კრებებს სულ დაესწრო 1935 ადამიანი: აქედან 351 (22.15%) ქალი. 1584 (77.85%) კაცი, მომდევნო წელს ქალთა ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 44%-მდე.

- არასამთავრობო ორგანიზაციათა საერთო რაოდენობა და იმ ორგანიზაციების წილი, რომელსაც ქალები ხელმძღვანელობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წევრთა გენდერული თანაფარდობა

ა/ო "განვითარების ტალღა" დირექტორი ქალი 13 წევრისგან შედგება მათგან 8 ქალია, 5 კაცი.

ქედის სათემო განათლების ცენტრი. დირექტორი - კაცი. 7 წევრისგან შედგება მათგან 5 ქალი, 2 კაცი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“ ერთი წარმომადგენელი ქედის მუნიციპალიტეტში - კაცი.

- ქალთა ორგანიზაციების, სოფლის ქალთა საინიციატივო ჯგუფების რაოდენობა
ქედის მუნიციპალიტეტი აერთიანებს 10 ადმინისტრაციულ ერთეულს - შესაბამისად შექმნილია ათი ქალთა საინიციატივო ჯგუფი, თითო ჯგუფი წარმოდგენილია 4 ან 5 ქალი წევრით.

„ქედის ქალთა საბჭო“ რომელიც წარმოდგენილია 5 ქალით

3. სტრატეგიის ხედვა, მიზანი და პრიორიტეტული მიმართულებები

3.1. სტრატეგიის ხედვა

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებით მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა

3.2. სტრატეგიის მიზანი

მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის ჩართულობით ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა, გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა.

3.3. ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

1. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გაუმჯობესება და გაძლიერება;
2. საბიუჯეტო და ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
3. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
4. სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა;
5. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა; ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა;

3.4. სამიზნე მაჩვენებლები

1. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ცნობადობა გაიზარდა **X%**;
2. დაინერგა გენდერული ბიუჯეტი. იმ მუნიციპალურ პროგრამათა რაოდენობა, რომელშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები გაიზარდა **X%**;
3. ბიზნეს საქმიანობებში ქალთა მონაწილეობა გაიზარდა **X%**;
4. მუნიციპალიტეტში **X** -ით გაიზარდა იმ კულტურული და სპორტული ობიექტების რაოდენობა, რომლებიც მორგებულია განსხვავებული სქესის, ასაკობრივი ან/და შესაძლებლობების მქონე ჯგუფების ინტერესებზე; პროფესიული განათლების მქონე ქალთა და გოგონათა რაოდენობა გაიზარდა **X%**
5. მომზადდა და მიღებულია გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური სოციალური პოლიტიკა;
6. შემუშავდა და დაინერგა დისკრიმინაციაზე პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი;
7. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ეფექტიანობა გაიზარდა **X%**.

4. ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

პრიორიტეტი 1. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გაუმჯობესება და გაძლიერება

სიტუაციის ანალიზი

2018 წლიდან 2020 წლის პერიოდში ჩატარდა 9 სხდომა და განხილული იქნა 10 საკითხი, გენდერული საბჭოს წევრები პერიოდულად გასვლით შეხვედრებს აწყობდნენ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან წლის განმავლობაში კვარტალში ერთხელ და სხვადასხვა კამპანიების დროს მაგ: ქალთა კვირეულის ფარგლებში, არა ძალადობის კამპანიის ფარგლებში, დასახალგაობათა საერთო კრებებში ქალთა ჩართულობის გასაზრდელად საინფორმაციო შეხვედრები, მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში შეხვედრები ქალთა

ჯგუფებთან, ძირითადი კონსულტაციები იყო საინფორმაციო ხასიათისა რომლის დროსაც მიეწოდებოდათ ზოგადი ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისების შესახებ, შეხვედრები მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, აღსანიშნავია რომ შეხვედრას ასევე ესწრებოდა მაჟორიტარი დეპუტატი შესაბამის თემში და მოსახლეობა მათ საჭიროებების შესახებ ინფორმაციას უშუალოდ აწვდიდა მაჟორიტარს რომელიც შემდგომ ლობირებას უწევდა შესაბამის სამსახურებთან.

გენდერზე პასუხიმგებელი პირის საქმიანობა საკმაოდ მოცულობითია, საქმიანობაში ხელმძღვანელობს თანასწორობის პრინციპების დაცვით, გაწეული სამუშაო ძირითადად მიმართულია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე, ქალთა ჩართულობის გაზრდაზე, ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერება, ასევე თანასწორობის უზრუნველსაყოფად შეიმუშავა და განახორციელა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა“ რომელიც წარმატებულ დაინერგა და განხორციელდა, პროგრამის ძირითადი მიზანია აღმოფხვრას ისეთი პრობლემები, როგორცაა: ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა, ოჯახში ძალადობა, გენდერული დისბალანსი, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა, სწორედ თავისი საქმიანობის პროცესში ეს სირთულეები გამოიკვეთა, რომლის საფუძველზე 2018 წელს დაფინანსდა სხვადასხვა საგანამანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები, რაც ხელს უწყობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცოვრების ყველა სფეროში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალისა და მამაკაცის ტანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას, გენდერული მენისრიმინგის ხელშეწყობას და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას. საბაზისო წელს პროგრამისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოიყო 3000 ლარი, მომდევნო წელს ქვეპროგრამა შემუშავდა ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომლის თანხა გაიზრდა 8000 ლარამდე, მომდევნო 2021 წლისთვის დაემატა 2000 ლარი და პროგრამის განსახორციელებლად გამოიყო 10 000 ლარი.

გენდერზე პასუხიმგებელი პირი ახდენს, კომპეტენციაში შემავალი კორესპოდენციების მიღებას, დამუშავებასა და შესაბამის რეაგირებას. ცალკეული ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან ინფორმაციისა და საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვასა და მიღებას. აქტიურად თანამშრომლობს, როგორც მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა დაწესებულებასთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

1. მთავარ გამოწვევად რჩება კომუნიკაციის პრობლემა მუნიციპალიტეტებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის სამწუხაროდ არ გვაქვს თანამშრომლობის გამოცდილება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, ქალთა ოთახებს გაფორმებული გვაქვს თანამშრომლობის მემორანდუმი, თუმცა არანაირი უკუკავშირი ამ მემორანდუმს

არ მოჰყოლია/ სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაცია შემოიფარგლება, მხოლოდ წერილობით მათი მხრიდან , რომელიც მოიცავს თვითმმართველობის მხრიდან გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს, საკითხზე მომუშავე უწყებები პერიოდულად მართავდნენ შეხვედრებს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, გააცნეს ადგილობრივ თვითმმართველობის კომიტენტციას მიკუთვნებული საკითხები გენდერული თანასწორობის შესახებ, ასევე საკანონმდებლო ჩარჩო თუ რა ღონისძიებები უნდა გახორციელდეს ადგილზე გენდერული თანასწორობის მისაღწევად და ინსტიტუციური მექანიზმების გასაძლიერებლად, სწორედ გადაწყვეტილების მომღები პირები იჩენენ საკითხის მიმართ დაბალ ინტერესს, რაც შემდგომ თავისი საქმიანობის განხორციელებაში ხელს უშლის გენდერზე პასუხისმგებელ პირს, ერთ ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება ადამიანური რესურსი -(თანასწორობაზე, გამოყოფილია მხოლოდ ერთი საჯარო მოხელე, რომელიც ამავდროულა არის, შეათავსებით ქალთა ოთახის მენეჯერი, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ასევე მუშაობს რამდენიმე კომისიაში, რომელსაც დროის ყველაზე დიდი ნაწილი ეთმობა, შესაბამისად ვერ იქნება ეფექტური მისი მუშაობა, მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს გენდერულ თანასწორობაზე, ასევე საბჭოს ყველა ღონისძიებას გეგმავს მხოლოდ და მხოლოდ გენდერზე პასუხისმგებელი პირი,)

ასევე, უმთავრესი გამოწვევაა, რომ საკრებულოში არ არის გამოყოფილი გენდერზე პასუხისმგებელი პირი, ამასთან გენდერული საბჭო ძირითად დაკომპლექტებულია საკრებულს წევრებით - რომელთა ცოდნა საკითხის მიმართ არის ძალიან დაბალი და ასევე, აქვთ დაბალი ინტერესი.

საბჭოს წევრების ასევე მერიის საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლებაზე უმთავრესად ა/ო-ბი ზრუნავენ , ამ მიმართულებით კვალიფიკაციის ასამაღლებლად არ გადამზადებულა არცერთი საჯარო მოხელე.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად მუნიციპალიტეს არ გააჩნია რაიმე კონკრეტული ხედვა პროგრამა, რომლის ფარგლებშია შესაძლებელია დახმარება გაეწიოს დაზარალებულს, მხოლოდ და მხოლოდ შემოიფარგლება ცნობიერების ამაღლების კამპანიით, ასევე არ არსებობს მერიაში სტატისტიკა ადრეული ქორწინების რაოდენობაზე, ოჯახში ძალადობაზე, მინიმალურია თანამშრომლობა ადგილობრივ პოლიციასთან და სოციალურ სააგენტოსთან, მუნიციპალიტეტის ხრიდან არაერთი მცდელობის მიუხედავად.

მიზანი

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი სამართლებრივი და ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება

ძირითადი ამოცანები

1. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის გაძლიერება, მისი საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა.

მოხდება ადგილობრივი თვითმმართველობის შემდეგ ახლად შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა დატრენინგება. ჩამოყალიბდება

ეფექტიანი საკოორდინაციო მექანიზმი გენდერული თანასწორობის ავტონომიურ რესპუბლიკურ და ცენტრალურ ინსტიტუციებთან. გაძლიერდება გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობა მუნიციპალიტეტში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ბიზნეს სუბიექტებთან. უზრუნველყოფილი იქნება გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალების, კვლევების, პუბლიკაციებისა და ანალიტიკური მასალების, ასევე საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების/რეკომენდაციების პროაქტიული გამოქვეყნება.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი პირებისა და მოხელეების გენდერის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ პირებს ჩაუტარდებათ სპეციალური ტრენინგი-შეხვედრა გენდერული თანასწორობის საკითხის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მოხდება საკრებულოს წევრებისა და მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებისთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

2. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა

მოხდება მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის განმსაზღვრელი დებულებისა და სამუშაო გეგმის სრულყოფა. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს ჩაუტარდება სპეციალური ტრენინგი.

3. მუნიციპალიტეტის დასახლებებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეფექტიანი ინსტიტუციური მექანიზმის შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის თანამშრომელისათვის გენდერული თანასწორობის საკითხის მაკოორდინირებელი ფუნქციის მინიჭება. უნდა მოხდეს ამ საჯარო მოხელის გადამზადება, რომელსაც ექნება უშუალო კავშირი მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან. პერიოდულად მიაწვდის მას ინფორმაციას ადმინისტრაციულ ერთეულში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, ორგანიზებას გაუწევს მოსახლეობის საჭიროებათა შესწავლას და გენდერული სტატისტიკის წარმოებას, მიაწვდის მოსახლეობას ინფორმაციას გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და ამ ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ.

4. გენდერული სტატისტიკის წარმოება და საჭიროებათა შესწავლის მექანიზმის დანერგვა

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გენდერული სტატისტიკის პერიოდულ წარმოებას და მოსახლეობის საჭიროებათა შესწავლას. აუცილებელია მომზადდეს და მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცდეს გენდერული სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, დამუშავების, შენახვისა და გამოქვეყნების წესი და მოსახლეობის საჭიროებათა შესწავლის მეთოდიკა. უზრუნველყოფილი იქნეს მათ წარმოებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსებით.

5. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის დანერგვა

თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი არის ინსტრუმენტი და პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს, აღწეროს, თუ როგორ ხორციელდება მუნიციპალურ ორგანოებში გენდერული მენისტრიმინგი და როგორ შეიძლება ამ მიდგომის გაუმჯობესება იმისათვის, რომ მუნიციპალური პოლიტიკა და მომსახურება/საქმიანობა იყოს გენდერულად მგრძობიარე და შეესაბამებოდეს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის სფეროში არსებულ საერთაშორისო და ეროვნულ ვალდებულებებს. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი მოგვცემს საშუალებას გამოვლინდეს და აღმოიფხვრას ის ხარვეზები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროში და მომზადდეს რეკომენდაციები:

- სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის სისტემის გასამდიერებლად;
- გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების ცნობიერების ასამაღლებლად;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტების მონიტორინგისა და შეფასების ეფექტიანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

6. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეფექტიანი საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბება

გენდერული თანასწორობა არის სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და მუნიციპალიტეტის მიერ მისი გატარება შეუძლებელია სრულყოფილად მოხდეს სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გარეშე. ამ მიზნით აუცილებელია ეფექტიანი კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბება ერთი მხრივ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან, საქართველოს მთავრობის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, ხოლო მეორე მხრივ მუნიციპალიტეტში მოქმედ სახელმწიფო უწყებებთან. საჭიროა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს ქონდეს

სისტემატიური კომუნიკაცია საპარლამენტო საბჭოს, მთავრობის უწყებათშორის კომისიის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან, ხოლო მეორე მხრივ მუნიციპალიტეტის მერთან სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნას გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისია.

7. გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მეწარმე სუბიექტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობის გაძლიერება

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ამ პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სამოქალაქო და ბიზნეს სექტორი. ამ მიზნით საჭიროა მუნიციპალიტეტში არსებულ ბიზნეს სუბიექტებთან და გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან პერიოდული შეხვედრების ჩატარება გენდერული თანასწორობის პრობლემურ საკითხებზე და მათი ჩართვა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

პრიორიტეტი 2. საბიუჯეტო და ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

სიტუაციის ანალიზი

დღეის მდგომარეობით აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა გენდერული ბიუჯეტის დანერგვაზე და 2022 წლის გენდერულად მგრძობიარე პროგრამებზე.

მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში ქალთა ინიცირებით წარმოდგენილი იყო 38 პროექტი, ხოლო აქედან მოსახლეობის უმრავლესობით გაიმარჯვა 7-მა ღონისძიებამ, საერთო თანხით 100 000 (ასი ათასი) ლარი.

მიზანი

გენდერულად დაბალანსებული ბიუჯეტი. დასაქმების, რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და საზოგადოებრივ მომსახურების სფეროში გენდერული დისბალანსის აღმოფხვრა.

ძირითადი ამოცანები

1. გენდერული ბიუჯეტი

მუნიციპალური ბიუჯეტი უნდა პასუხობდეს მოსახლეობის საჭიროებებსა და ინტერესებს და თანაბრად ითვალისწინებდეს გენდერული ჯგუფების მოთხოვნებს. ამიტომ საჭიროა ბიუჯეტის მომზადებისას გათვალისწინებული იქნეს თუ რა განსხვავებულ გავლენას ახდენს ქალებისა და კაცების

ცხოვრებაზე ბიუჯეტის ხარჯები თუ შემოსავლები. მუნიციპალურ პროგრამათა პრიორიტეტებიც უნდა განისაზღვროს გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. მოხდეს საბიუჯეტო რესურსების რესტრუქტურისაცა გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით. უზრუნველყოფილი იქნეს გენდერული ასპექტების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე. მოხდეს ჩატარებული კვლევის შედეგად, მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით, გენდერულად მგრძობიარე პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცება.

2. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. გენდერული ასპექტის გათვალისწინებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სპეციალურ მუნიციპალურ პროგრამათა შემუშავება და განხორციელება

დღემდე მწვავედ დგას მცირე და საშუალო მეწარმეობაში ქალთა შეზღუდული შესაძლებლობების, მათ შორის ფინანსებზე ქალებისა და კაცების არათანაბარი წვდომის საკითხი. ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები ქალების სამეწარმეო პოტენციალის გაძლიერებისა და ათვისებისათვის. ამ ღონისძიებებისა და მუნიციპალურ პროგრამების შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია ქალების სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიური პრობლემების და თავისებურებების იდენტიფიცირება. პრობლემატურად რჩება ქალების მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა, რაც სხვა საკითხებთან ერთად გამოწვეულია გარკვეული უნარ-ჩვევების, მათ შორის ციფრული უნარ-ჩვევების არქონით.

ქალებისა და მამაკაცებისათვის საწარმოო რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის აუცილებელია პირველ რიგში მოხდეს საჭიროებების გამოვლენა და მის საფუძველზე შესაბამისი პროგრამების (საგანმანათლებლო, პრაქტიკული, მათ შორის ციფრული უნარების განვითარების) შემუშავება და განხორციელება, ქალთა შრომის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად შესაბამისი პირობების შექმნა და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებთან მათი ადაპტაციის ხელშეწყობა.

საჭიროა წახალისდეს და ხელი შეეწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალთა ჩართულობას, განხორციელდეს ღონისძიებები ქალთა აუნაზღაურებელი შრომის შესამცირებლად და რედისტრიბუციისთვის.

3. მუნიციპალურ საწარმოებსა და დაწესებულებებში კონტროლის მექანიზმების დახვეწა შრომის კოდექსით დადგენილ ანტიდისკრიმინაციულ ნორმების დაცვაზე და შრომის ანაზღაურების სფეროში გენდერული დიფერენციაციის აღმოსაფხვრელად

პანდემიამ, რის გამოც მოხდა სკოლებისა და საბავშვო ბაღების დახურვა განსაკუთრებით ქალთა მიმართ მწვავედ დააყენა სამსახურობრივი და ოჯახური ცხოვრების შეთავსების საკითხი. ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია გამოყენებული იქნეს კანონმდებლობით დადგენილი ზომები დაწესებულებების მოქნილ რეჟიმზე გადასაყვანად, რაც მისცემს როგორც

ქალებს, ასევე კაცებს სამსახურეობრივი და ოჯახური ცხოვრების შეთავსების შესაძლებლობებს.

პრიორიტეტი 3. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

სიტუაციის ანალიზი

კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებისა და სპორტის სფეროში არსებულ მდგომარეობას თუ შევადარებთ, ჩატარებული ღონისძიებების და გენდერულ ჭრილში მონაწილეთა რაოდენობა ყოველწლიურად განვითარებადი და მზარდია. თუმცა, გამოწვევად რჩება კვალიფიციური კადრების გადამზადება, საზოგადოების ყველა სეგმენტზე მორგებული ადაპტირებული გარემო-პირობების გაუმჯობესება და ინფრასტრუქტურული სივრცეების შექმნა-მოწყობა.

მიზანი

კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავი მონაწილეობის, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი საქმიანობის, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციისა და მათი უფლებების დაცვის, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების უზრუნველყოფა

ძირითადი ამოცანები

1. კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავი მონაწილეობის, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობისა და შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფა

კულტურულ ცხოვრებაში შეუზღუდავი მონაწილეობის, კულტურის მონაპოვართა თანაბარი ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი საქმიანობის წახალისებისა და შემოქმედებითი ნიჭის თავისუფალი რეალიზებისთვის საჭირო არსებული სტერეოტიპების დამსხვრევა და გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების მომზადება და განხორციელება. გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა კულტურის მონაპოვრებით სარგებლობასა და შემოქმედებით საქმიანობაში. ქალთა და გოგონათა ხელოვნების და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

2. განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და გენდერულად ორიენტირებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის უზრუნველყოფა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილები, რომელთა განხორციელებისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს გენდერული ასპექტები.

3. გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირება

ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით საჭიროა მოხდეს ახალგაზრდობის საჭიროებათა შესწავლა გენდერულ ჭრილში და შემუშავდეს ახალგაზრდობის მხარდამჭერი მუნიციპალური პოლიტიკა გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს შეუფერხებლად და შეუზღუდავად მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.

4. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება

არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა და ასევე დამკვიდრებული სტერეოტიპები მნიშვნელოვნად უშლის ხელს გოგონათა და ქალთა მონაწილეობას სპორტულ ღონისძიებებში. საჭიროა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებზე, მათ შორის განსხვავებული სქესის, ასაკობრივი ან/და შესაძლებლობების მქონე ჯგუფების ინტერესებზე მორგებული, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, მასობრივი სპორტის განვითარება, სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პოპულარიზაცია, სპორტული ღონისძიებების ჩატარების მიზნით მუნიციპალურ პროგრამებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება.

პრიორიტეტი 4. სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

სიტუაციის ანალიზი

არსებული მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით არსებული პროგრამები ორივე სქესზე თანაბრადაა მორგებული, სადაც გათვალისწინებულია სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები, ხდება მათი სოციალიზაცია.

მიზანი

გენდერულ ასპექტთა გათვალისწინება ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის სფეროსა და მოწყვლად ჯგუფთა სოციალური გააქტიურების ხელშეწყობა.

ძირითადი ამოცანები

1. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება

მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ხდება მუნიციპალური ჯანდაცვისა და სოციალურ დახმარებათა პროგრამების განხორციელება. ამ პროგრამათა დაგეგმვისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს გენდერული ასპექტები, რათა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყოველ მოქალაქეს ქონდეს ამ პროგრამებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობა. ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები უნდა

იყოს გენდერულად ორიენტირებული, ასევე საჭიროა გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა სოციალური დახმარების პროგრამებსა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში.

2. მოწყვლადი და სოციალურად მგრძობიარე ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების ხელშეწყობა

დღემდე კვლავ პრობლემატურია მზრუნველობამოკლებული ბავშვების, სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, აგრეთვე პრობაციონერთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა. აუცილებელია გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მომზადდეს სპეციალური მუნიციპალური პროგრამები ამ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციისა და სოციალური აქტიურობის ხელშესაწყობად.

პრიორიტეტი 5. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა

სიტუაციის ანალიზი

გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხებს მოიცავს უშუალოდ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები, რომელიც ხორციელდება მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, აქტივობები ძირითადად მოიცავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მგრძობიარეობის გაზრდას ძალადობის საკითხებზე, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიებს (25 ნოემბერი-10 დეკემბერი), პერიოდულად ადმინისტრაციულ ერთეულებში ვრცელდება ფლაერები, როემლზეც დატანილია ინფორმაცია ქვეყანაშ არსებული დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ. მიმდინარე წელს ქალთა ქალთა ოთახს მიმართა მხოლო ერთმა ადგილობრივმა, რომელიც ოჯახის მხრიდან არის პირდაპირი და ირიბი ძალადობის მსხვერპლი, ამ შემთხვევაში მხოლოდ მუნიციპალიტეტის მხრიდან შეთავაზებული იქნა შესაბამის ორგანიზაციებთან და უწყებებთან გადამისამართება, სახელმწიფოშო არსებული სერვისების გაცნობა, ადგილობრივ დონეზე სოციალურ მუშაკთან დაკავშირება, ამ პერიოდისათვის მუნიციპალიტეტს სამწუხაროდ მსხვერპლის დახმარების გასაწევად არ გააჩნია არც სერვისი და არც გამოყოფილი არ აქვს ფინანსები, თუმცა დაზარალებულის მხრიდან არის მოთხოვნა დროებით (ქირით) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტმა მისი გაყვანა საცხოვრებლად. არის შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, სოც მუშაკი ინფორმირებულნი არიან (ნაადრევი ქორწინების ან და ოჯახში ძალადობის) ფაქტის შესახებ, მაგრამ ვერ ხდება შესაბამისი რეაგირება ან რაიმე სახის ჩარევა. გამოწვევას წარმოადგენს მერის წარმომადგენლების, გენდერული საბჭის წევრების, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების ცნობიერება გენდერული თანასწორობის პრინციპების და ძალადობის საკითხებზე, ასევე პრობლემა არის თავად მსხვერპლის ნება ითანამშრომლოს შესაბამის უწყებებთან, მათი თხოვნაა მხოლოდ და მხოლოდ მოძალადისგან მოშორებით საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

მიზანი

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის დაუშვებლობა; საზოგადოებაში ძალადობის, მათ შორის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ეფექტიანობის გაზრდა, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის უზრუნველყოფა;

ძირითადი ამოცანები

1. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა

ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს ყველა მოქალაქის კონსტიტუციური უფლება თანაბრად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში. მუნიციპალური ორგანოების ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობას თვითმმართველობის განხორციელებაში და არ დაუშვას ამ პროცესში გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია. ამ მიზნით საჭიროა:

- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში დისკრიმინაციაზე პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების ჩამოყალიბება;
- მუნიციპალიტეტის საქმიანობის, აგრეთვე სამართლებრივი აქტებისა და შიდა რეგულაციების შესაბამისობის უზრუნველყოფა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან და საქართველოს სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან;
- დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირების ეფექტური მექანიზმების დანერგვა
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თავიდან აცილების მიზნით პრევენციული საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

2. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა სახელმწიფოს მიერ აღიარებულია ერთ-ერთ მწვავე პრობლემად, რომლის აღმოსაფხვრელად იხვეწება საკანონმდებლო ბაზაც და ძალადობაზე რეაგირების მექანიზმები. პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა პანდემიით გამოწვეულ კრიზისის პირობებში. მუნიციპალიტეტს, როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლო მდგომ ხელისუფლებას ძალუძს გამონახოს ყველაზე უფრო ოპტიმალური გზები სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებთან ერთად ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ამ მიზნით საჭიროა მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების, მათ შორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა მიერ მოხდეს:

- ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის და არასრულწლოვანებზე ძალადობის ფაქტების გამოვლენა, ძალადობის მიზეზების ანალიზი, შესწავლა და შეფასება; შესაბამისი სტატისტიკის წარმოება და საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- მერის წარმომადგენლების, გენდერული საბჭოს წევრების, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის პრიციპებისა და ძალადობის საკითხებზე

- ოჯახში ძალადობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება იმ პირების მიმართ, რომლებიც ოჯახში ძალადობის ჩადენის რისკ-ჯგუფებს განეკუთვნებიან;
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება ოჯახის წევრთა თანასწორობისა და ურთიერთვალდებულებების, ასევე მათი უფლებების დაცვის გარანტიების თაობაზე.
- ოჯახში ძალადობის პრევენცია; ოჯახში ძალადობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ერთობლივი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით ეფექტური პროგრამების დაგეგმარება და განხორციელება;
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისკენ, ძალადობის აღკვეთისკენ, მოძალადის სამართლებრივი დევნისკენ, მისი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ;
- საინფორმაციო-საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვა ბავშვთა მიმართ ძალადობისა და „ნადრევი ქორწინების“ საკითხებთან დაკავშირებით;
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება.

5. სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები. მონიტორინგი და შეფასება

5.1. სტრატეგიის განხორციელება

სტრატეგიის და სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას, თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის მერია.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მერია უზრუნველყოფს სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართულობას, განხორციელების პროცესის გამჭვირვალობას და ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას.

სტრატეგიის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია სტრატეგიის სამოქმედო გეგმები. სტრატეგია მოიცავს 2022-2025 წლებს. სტრატეგიის პირველი სამოქმედო გეგმა გაიწერება 2022-2023 წლებზე, ხოლო შემდეგი - 2024-2025 წლებზე.

სტრატეგია განხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის დაფინანსებით, ასევე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ტრანსფერებითა და დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით დამტკიცებული სტრატეგია, სამოქმედო გეგმები და შესრულების ანგარიშები ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.keda.gov.ge.

5.2. მონიტორინგი

სტრატეგიაში წარმოდგენილი ამოცანების შედეგების მიდწევისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პროგრესის დადგენის მიზნით განხორციელდება სამოქმედო გეგმის რეგულარული მონიტორინგი. მონიტორინგს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები და მუნიციპალიტეტის გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი. რომელიც ყოველ კვარტალურად წარუდგენს ანგარიშს მერსა და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ასევე, ამზადებს და მერსა და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარუდგენს სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიურ ანგარიშს.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოზე განხილვის შემდეგ წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.keda.gov.ge.

5.3. შეფასება

სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების შედეგების შესასწავლად, ასევე სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებების განვითარებაზე გავლენის დადგენისა და განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენის მიზნით მოხდება სტრატეგიის შეფასება.

სტრატეგიის შეფასება განხორციელდება პოლიტიკის ციკლის დასრულების ბოლო ეტაპზე, მაგრამ არაუგვიანეს 2025 წლის პირველი ნახევრისა.

სტრატეგიის შეფასება მოხდება მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ. საბჭომ სტრატეგიის შეფასება შეიძლება მოახდინოს საკუთარი რესურსებით ან მოიწვიოს გარე ექსპერტი/ექსპერტები.

სტრატეგიის შეფასების შედეგად მზადდება ანგარიში, რომელიც წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

სტრატეგიის შეფასების ანგარიში ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.keda.gov.ge.